<u>ამონაწერი</u>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს სხდომა

ოქმი № 44

4 აპრილი, 2023 წელი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოს წევრები: ჰ. მელაძე (საბჭოს თავმჯდომარე), გ. გიორგობიანი, დ. ზარნაძე, მ. ზაქრაძე, ვ. კვარაცხელია, მ. მენთეშაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ვ. ტარიელაძე, დ. უგულავა, მ. ფხოველიშვილი, ს. ჩობანიანი.
სხდომის მდივანი - ინსტიტუტის სწავლული მდივანი ზ. სანიკიძე.

დღის წესრიგის პუნქტი:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე ღია კონკურსის განოცხადების შესახებ:

მ ო ი ს მ ი ნ ე ს

ინსტიტუტის დირექტორმა ვ. კვარაცხელიამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სამეცნიერო პერსონალის უმრავლესობის ლეგიტიმაცია იწურება 16 მაისს. არჩევნების არსებული წესის შესაბამისად ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ არჩევნები. შემდეგ ვ. კვარაცხელიამ დამსწრეთ გააცნო განცხადების ტექსტი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე და რომლითაც გამოცხადდება სამეცნიერო პერსონალის არჩევნები (ტექსტის სრული ვერსია ოქმს თან ერთვის.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს

გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოს ყველა წევრმა. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა განცხადების წარმოდგენილ ტექსტს (მომხრე - 9, წინააღმდეგი -1).

დ ა ა დ გ ი ნ ე ს

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მხარს უჭერს არჩევნების გამოცხადების შესახებ წარმოდგენილ ტექსტს, რომლის თანახმად ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის არჩევნები, სავარაუდოდ, უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 16 მაისამდე.

2) აღნიშნული განცხადება შესათანხმებლად და კონკურსის თარიღების საბოლოოდ დასადგენად გაეგზავნოს უნივერსიტეტის რექტორს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ჰ. მელაძე

საბჭოს მდივანი ზ. სანიკიძე

ოქმიდან ამონაწერის სისწორეს ვადასტურებ,
სტუ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის
სწავლული მდივანი ზ. სანიკიძე